RUSTAVI MALL

ვისოლ ჯგუფის წევრი კომპანიები „მპ დეველოპმენტი“, „მპ ფროფერთი“ და „რუსთავი მოლი“ საქართველოს მასშტაბით ეწევა სავაჭრო ცენტრების მართვისა და განვითარების საქმიანობას, მათ მფლობელობაში შედის 14 მცირე და საშუალო ზომის სავაჭრო ცენტრი როგორც თბილისსა ასევე საქართველოს რეგიონებში.
ჩვენი კომპანიის მიზანია:

- საქართველოს მასშტაბით, მომხმარებლებისათვის, ხელმისაწვდომი გავხადოთ ადგილობრივი და საერთაშორისო ბრენდები.
- ვიყოთ დამაკავშირებელები, ბიზნესსა და მომხმარებლებს შორის.
- განვავითაროთ რეგიონები და შევქმნათ დამატებითი სამუშაო ადგილები.

<u>ტენდერის აღწერილობა:</u>

შ.პ.ს. „რუსთავი მოლი“ აცხადებს ტენდერს მის საკუთრებაში არსებულ **ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი #14-ში** მშენებარე სავაჭრო ცენტრის ერთი ერთეული **სამგზავრო ლიფტის #1,** ერთი ერთეული **სატვირთო ლიფტის #2** და **ესკალატორის** შეძენა - მონტაჟზე.

თანდართულ ფაილებში იხილეთ:

- დანართი #1 სამგზავრო ლიფტი;
- დანართი #2 სატვირთო ლიფტი;
- დანართი #3 ესკალატორი.

1. ლიფტი #1, #2 და ესკალატორი უნდა მოემსახუროს სავაჭრო ცენტრის 0 და პირველ სართულებს;
2. #1 ლიფტის ტვირთამწეობა უნდა იყოს მინიმუმ 630 კგ;
3. #2 ლიფტის ტვირთამწეობა უნდა იყოს მინიმუმ 2000 კგ;
4. სამგზავრო ლიფტი არ უნდა იყოს პანორამული
5. ლიფტის ზომები იხილეთ დანართი #1-ში და დანართი #2-ში
6. ესკალატორის ზომები იხილეთ დანართ #3-ში
7. ესკალატორის საფეხურის სიგანე (800 მმ და 1000 მმ შემოთავაზება ორივე ვერსიაზე)

<u>წინადადების წარდგენის წესი:</u>

- **დანართი #1**-ის, **დანართი #2**-ის და **დანართი #3**-ის გათვალისწინებით გთხოვთ წარმოადგინოთ შემოთავაზების რამოდენიმე შესაძლო ვარიანტი.
- შემოთავაზების დეტალური აღწერა: ზომები, მახასიათებლები, ფასი, ხარისხი, გარანტია.
- გამოყენებული მასალის, მოწოდებული საქონლის დეტალური აღწერილობა (მათ შორის წარმომავლობა და შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატები)
- ლიფტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 41-ე დადგენილების ყველა პუნქტს.
- მომწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს ლიფტების გამართულობაზე და ექსპლუატაციაში მიღებაზე.
- აუცილებელია წარმოდგენილი თითოეული ვარიანტის ფოტო-მასალის წარდგენა .
- პროდუქციის დამზადების, მიწოდების, მონტაჟისა და ანგარიშსწორების დროის გეგმა-გრაფიკი.
- ღირებულება მითითებული უნდა იყოს დღგ-ს ჩათვლით.

ტენდერში მონაწილეობისთვის დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- მოსაწოდებელი პროდუქტის და მისი მონტაჟის ღირებულება წარმოდგენილ უნდა იქნას ექსელის ფაილში;
- გამოსაყენებელი ძირითადი მასალების აღწერილობა, მათ შორის მასალ(ებ)ის წარმომავლობა, დადასტურებული სერთიფიკატებით.
- მოწოდების და მონტაჟის სამუშაოების გეგმა/გრაფიკი.
- პრეტენდენტის რეკვიზიტები: სრული დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი, პასუხისმგებელი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- საბანკო რეკვიზიტები;
- ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა პრეტენდენტი დღგ–ს გადამხდელი/არაგადამხდელი;
- ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების (ანალოგიური მოცულობის შენობის დასრულების სამუშაოები და/ან სამშენებლო სამუშაოები) შესახებ (დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს სამუშაოების შესრულების ადგილი).;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილები (მინიმუმ 2 შემსყიდველის მიერ გაცემული);
- დამადასტურებელი ინფორმაცია აღნიშნულ სფეროში მინიმუმ 10 წლიანი პრაქტიკული და თეორიული საქმიანობის შესახებ;
- მონაცემები მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შესახებ;

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხელმოწერილ უნდა იქნას პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ.
წინადადების წარდგენამდე, მიმწოდებელს აქვს უფლება დაათვალიეროს სამშენებლო ობიექტი, რაც საჭიროა განხორციელდეს შ.პ.ს. „რუსთავი მოლ“–თან შეთანხმებით.

დამკვეთის მოთხოვნით, ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე, პრეტენდენტებს ასევე შესაძლებელია მოეთხოვოთ სხვა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა.

***შენიშვნა*:** თუ სამუშაოთა შესრულება იგეგმება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მეშვეობით, პრეტედენტის მიერ ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას ქვეკონტრაქტორ(ებ)ის შესახებ მონაცემები, ზემოაღნიშნული საბუთების სახით.

სატენდერო კომისიის მიერ გამოვლენილ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას მოეთხოვება:

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან გარანტიის წარმოდგენა – საავანსო თანხის ღირებულების ოდენობით;
- ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია – ბანკიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან გარანტიის წარმოდგენა სამშენებლო სამუშაოების ღირებულების 5%-ის ოდენობით (სამუშაოების შესრულების ვადას აღემატებოდეს 2 თვით);
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან პირის რეგისტრაციის შესახებ (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 14 დღე);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 14 სამუშაო დღე);
- ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების არარსებობის შესახებ;

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 7 დღე);
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
- საგადასახადოს სარეგისტრაციო კოდი და გადამხდელის სტატუსი - "დღგ"-ს გადამხდელი ან "შეღავათების მქონე გადამხდელი";

შენიშვნა: სატენდერო განცხადებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის საფუძველი.

სატენდერო დოკუმენტაციის წარდგენის საბოლოო ვადა განისაზღვრება 2022 წლის 30 სექტემბერი 18:00 საათამდე.

- **სატენდერო დოკუმენტაციასთან და პროცესებთან დაკავშირებულ კითხვებზე მიმართეთ**
  თამარ ფიცხელაური - შესყიდვების მენეჯერი
  ტელ: 599753944
  Email: tenders@mpd.ge

- **ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით კითხვები:**
  ლევან კალმახელიძე - პროექტების მენეჯერი
  ტელ: 577121033
  Email: l.kalmakhelidze@mpd.ge